ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4205230

ნომერი: AR1633797

თარიღი : 28.09.2018

გაცემის თარიღი : 08.10.2018

გაცნობის თარიღი : 08.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , მასივი გლდანი , მიკრო/რაიონი I , კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია ჯანაშია პ/ნ 01001067658
- თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 21 ბ. 133

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2608903
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 15.06.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
სამსახური ამ სახით დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობას ვერ დაადასტურებს. +29,7 ნიშნულზე, გ-ბ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი. აღნიშნულით შესაძლებელია ირღვეოდეს სამეზობლო მიჯნა. უნდა წარმოადგინოთ ზედამხედველობის მიერ დამოწმებული ნახაზი და დაიტანოთ ზომები ღიობიდან საკადასტრო საზღვრებამდე. უნდა დააყენოთ კიბის უჯრედის და სადარბაზოს გამყოფი კარები. დაუშვებელია ლიფტის კარის სიგანის შემცირება 0,90 მეტრს სიგანეზე ნაკლებად. წარმოადგინეთ ნახაზი სადაც ნაჩვენები იქნება პადნუსის სიმაღლე სიგრძე და გამოთვლილი პროცენტულობა. აღნიშნული არ უნდა აჭარბებდეს კანონმდებლობით დაშვებულს. ნახაზი ასევე უნდა იყოს დამოწმებული ზედამხედველობის სამსახურის მიერ. გაითვალისწინეთ, ავტოსადგომების სართულებზე დაუშვებელია კიბის უჯრედთან მდებარე ტამბურების გაუქმება ან მათი ზომის შემცირება დაშვებულს ქვემოთ. აღნიშნული აისახოს ნახაზში. არ უნდა იყოს დარღვეული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტი (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით). წარმოადგინეთ ფოტომასალა სადაც ასახულია საჰაეროების მოწყობა. აღნიშნული არ უნდა არღვევდეს სამეზობლო მიჯნებს და უნდა იყოს მოწყობილი ერთიანი სისტემით. შეილესოს და შეიღებოს ავნების შუბლები. შეივსოს ვიტრაჟის ძირები. წარმოადგინეთ ზემოთ მოთხოვნილი 2 ნახაზი დამოწმებული ზედამხედველობის სამსახურის მიერ და ზემოთ აღწერილი დარღვევის გამოსწორების აქტი.

გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.